




ნოემბერი, 2020 წ.

## ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა\*



### თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- ოქტომბერში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი - 3.9% შეადგინა
- ნოემბერში წლიური ინფლაცია 3.8%-ს გაუტოლდა
- ნოემბერში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 2.8%-ით, ხოლო ევროს მიმართ 3.2%-ით გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)

\*სტატისტიკური ინფორმაციის გამომყვანების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს




პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2020 წ.

# 1. რეალური და ფისკალური სექტორი

ოქტომბერში უარყოფითი ეკონომიკური ზრდა 3.9%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.


წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2020 წლის ოქტომბერში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა -3.9% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებული ტემპმა<sup>1</sup> 10.81% შეადგინა.




ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 3.8%-ს შეადგინა.

წინა წლის ნოემბერთან მიმართებით, 2020 წლის ნოემბერში ინფლაციის დონე 3.8%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ავეჯის, საოჯახო ნივთებისა და სახლის მოვლაზე, თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე. 2020 წლის ოქტომბერში მშპ-ის წლიურმა საპროცნოზო დეფლატორმა 4.4% შეადგინა.



ოქტომბერში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2020 წლის ოქტომბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 5.6%-ით შემცირდა, ხოლო ხარჯები 21.0%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო (მთავრობის დანაზოგები) 180.3 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 551.2 მლნ ლარით განისაზღვრა.




<sup>1</sup> წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის განლიურებულ მაჩვენებელს.

ოქტომბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს.

წინა წლის ოქტომბერთან მიმართებით, 2020 წლის ოქტომბერში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 18.7%-ით მოიმატა და 35.5 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 16.6%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 20.4%-ით გაიზარდა.

ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები




## 2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

იანვარ-ოქტომბერში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

წინა წლის იანვარ-ოქტომბერთან შედარებით, 2020 წლის იანვარ-ოქტომბერში ექსპორტი 11.1%-ით, ხოლო იმპორტი 16.6%-ით შემცირდა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის შემცირებით არის გამოწვეული. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.6%-ით განისაზღვრა. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ჩინეთში (181%-ით), ესპანეთსა (55%-ით) და შვეიცარიაში (31%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი სომხეთში (53%-ით), აშშ-ში (40%-ით), უკრაინაში (20%-ით) და რუსეთში (14%-ით).


საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები იანვარ-ოქტომბერი



ოქტომბერში ფულადი გზავნილები გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2020 წლის ოქტომბერში ფულადი გზავნილები 18.6%-ით გაიზარდა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 42%), რუსეთი (19%) და აშშ (12%) წარმოადგენენ. საანალიზო პერიოდში გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: უკრაინიდან (152%-ით), აზერბაიჯანიდან (145%), გერმანიიდან (75%-ით), აშშ-დან (40%-ით) და საბერძნეთიდან (24%-ით). ხოლო რუსეთიდან შემცირდა (7%-ით).


ფულადი გზავნილები იანვარ-ოქტომბერი



2020 წლის ნოემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 3,764 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2020 წლის ნოემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 3,764 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 12.8%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 0.7%-ით შემცირდა. 2020 წლის ოქტომბერში ვალუტის მკვეთრი გაუფასურების საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა 240.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის იანვარ-ივნისში სებ-მა სავალუტო აუქციონზე 165.0 მლნ აშშ დოლარი შეიძინა, ხოლო გამოყენებული ოფციონების საშუალებით დაახლოებით 50 მლნ აშშ დოლარი, აკვისტო-ნოემბერში კი 92.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები




### 3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასის ზრდის ტემპი შემცირდა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2020 წლის ოქტომბერში სარეზერვო ფულის მასა 15.7%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 13.3%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 17.9%-ს გაუტოლდა. ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 3.8% შეადგინა.


ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები  
%-ლი ცვლილება



ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, გაიზარდა როგორც დეპოზიტებმა, ისე სესხებმა დოლარიზაციის მაჩვენებელი.


2020 წლის ოქტომბერში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.88%-ული პუნქტით გაიზარდა და 63.17%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 1.26%-ული პუნქტით შემცირდა და 55.82% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2020 წლის ოქტომბერში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 3.9%-ით შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა კი - 0.3%-ით.

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი




ოქტომბერში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე შემცირდა 0.2%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე შემცირდა 0.7%-ული პუნქტით.

2020 წლის ოქტომბერში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 11.8% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.3%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით 5.5% შეადგინა, 0.2 %-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის ოქტომბერთან შედარებით.



ნოემბერში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლართან, ისე ევროს მიმართ გაუფასურების ტენდენციას ავლენს.


2020 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.8%-ით, ხოლო ევროს მიმართ 3.2%-ით გაუფასურდა. ამავდროულად პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2020 წლის ნოემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 10.3%-ით, ევროს მიმართ კი 16.1%-ით გაუფასურდა.



## 4. რეგიონული მიმოხილვა


ნოემბერში რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, 2020 წლის ნოემბერში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 14.0% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე რუსეთსა (4.4%) და სომხეთში (1.6%). რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასებმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.8%-ით მოიმატა.



ნოემბერში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აზერბაიჯანული მანათის გარდა, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურების ტენდენციას ავლენს, თუმცა განსხვავებული მასშტაბით.

კერძოდ, 2020 წლის ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა თურქული ლირა (28.1%-ით), რუსული რუბლი (14.7%-ით) და სომხური დრამი (1.5%-ით). ხოლო აზერბაიჯანული მანათი გამყარდა (2.7%-ით).



შემაჯამებელი ცხრილი<sup>2</sup>



ზრდა



კლება



ცვლილება < 1%

		ნოემბ 19	დეკ 19	იანვ 20	თებ 20	მარტი 20	აპრილი 20	მაისი 20	ივნ 20	ივლ 20	აგვ 20	სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

\*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		ნოემბ 19	დეკ 19	იანვ 20	თებ 20	მარტი 20	აპრილი 20	მაისი 20	ივნ 20	ივლ 20	აგვ 20	სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

\*\*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

<sup>2</sup> გაცვლითი კურსის ზრდა ნიშნავს გაუფასურებას, კლება გამყარებას.